ავთანდილ თალაკვაძე მერის მოვალეობის შესრულებას შეუდგა

ალიონი. 22 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული მერი **ავთანდილ თალაკვაძე** სამსახურში გამოცხადდა.

ოზურგეთის მერიის შესასვლელთან ახალარჩეულ მერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელები და მერიის თანამშრომლები შეხვდნენ.

„მინდა, მადლობა გადავუხადო მხარდამჭერებსა და საზოგადოებას გამოცხადებული ნდობისთვის. ჩვენი გუნდი მომავალზეა ორიენტირებული დავიწყებთ ჩვენი 8-პუნქტიანი გეგმის განხორციელებას, რომელიც საარჩევნო პერიოდში გავაცანით თანამოქალაქეებს. პირველ რიგში, დავიწყებთ ბიუჯეტის პროექტის დამუშავებას იმისთვის, რომ რესურსები მაქსიმალურად მორგებული იყოს არსებული პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარებაზე“, - განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

ოზურგეთის მერის პირველ მოადგილედ გიორგი ღურჯუმელიძე დაინიშნა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ თალაკვაძის პირველ მოადგილედ **გიორგი ღურჯუმელიძე** დაინიშნა, – აღნიშნულ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრესსამსახური ადასტურებს.

გიორგი ღურჯუმელიძე პარტია „ქართულიოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერია. იგი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

შსს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსად მერაბ ჭანუყვაძე დაინიშნა

ალიონი. ოზურგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო - სამაშველო ძალების დეპარტამენტის გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსად, **მერაბ ჭანუყვაძე** დაინიშნა.

მერაბ ჭანუყვაძეს კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2011-2013 წლებში იყო შპს “GT GROUP“ - ის ერთ-ერთი დირექტორი. 2013-2014 წლებში იკავებდა გურიის გუბერნატორის პირველი მოადგილის პოზიციას. 2014-2017 წლებში გახლდათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, 2017-2018 წელს კი, გუბერნატორის თანამდებობა ეკავა..

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 39 (10409) 29 ნოემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ავთანდილ თალაკვაძემ 13 სოფლიდან 9 -ში ახალი კადრი დანიშნა

ავთანდილ თალაკვაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 13 სოფლიდან 9-ში ახალი რწმუნებული დანიშნა. მათ უკვე გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულებები. ესენია:

კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეული – **დავით თოიძე;**

მაკვანეთის ადმინისტრაციული ერთეული – **გიორგი ბაბილოძე;**

მერიის ადმინისტრაციული ერთეული – **გრიგოლ კოსტავა;**

მთისპირის ადმინისტრაციული ერთეული – **ვლადიმერ ჩავლეშვილი;**

ნატანების ადმინისტრაციული ერთეული – **ვალერიან ვაჩეიშვილი;**

შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეული – **თამაზ ბურჭულაძე;**

ცხემლისხიდის ადმინისტრაციული ერთეული – **გრიგოლ ძიძიშვილი;**

ჭანიეთის ადმინისტრა-ციული ერთეული – **ზაზა სალუქვაძე;**

ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეული – **მიხეილ ებრალიძე.**

▶▶▶ გვ-2

„როიალ ასკანამ“ ჩხავერის პირველი მოსავალი მიიღო

„როიალ ასკანას“ პროექტი ახალ ეტაპზე გადავიდა

კომპანია **„როიალ ასკანას“** მიერ აგებულმა ღვინის საწარმომ სოფელ ასკანაში გუშინ და დღეს 15 ტონა „ჩხავერი“ მიიღო. აღნიშნული საწარმოს მიზანია შექმნას საერთაშორისო სტანდარტების მაღალი ხარისხის ღვინო, რომელიც საკუთარ ნიშას დაიკავებს საერთაშორისო ბაზრებზე. ამის გარანტიაა მაღალი ხარისხის დანადგარები, რომლითაც ეს საწარმოა აღჭურვილი.

გურული ვაზი რომ აღორძინების გზაზეა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 5-6 წლის წინ კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ და მისი შვილობილი კომპანიის „როიალ ასკანას“ დამფუძნებლის **ზურაბ ჩხაიძის** მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტი, როცა მან საგურამოს სანერგე მეურნეობიდან, შეიძინა უნიკალური გურული ვაზის ჯიშების: „ჩხავერი,“ „საკმიელა,“„ჯანი,“ „მტევან დიდი“, „ჭუმუტა“, „სხილათუბანი,“„ალადასტური,“ „კამური,“„ორონა“„მტრედის ფეხი“ და კიდევ მრავალი გურული ჯიშის ვაზის ათასობით ნერგი და უფასოდ დაურიგა გურიის სამივე მუნიციპალიტეტის და ქედელ მევენახეებს.

აღნიშნულ პროექტში აქტიური მონაწილეობა მიიღო შემოქმედელმა ინჟინერმა, გუ-რული ვაზის აღდგენის ერთ-ერთმა მთავარმა ინიციატორმა **ანდრო ვაშალომიძემ**, რო-მელმაც 18 წლის მანძილზე 40-ზე მეტი ვაზის ჯიში მოიძია და გადაურჩინა შთამომავლობას.

სოფელ ასკანაში მდებარე შატოს ტიპის კომპლექსს ამჟამად 200 ტონა ყურძნის გადამუშავების რესურსი გააჩნია.

„დამერწმუნებით, ეს არის კარგი გამოწვევა იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ გურული მევენახეობის განვითარებას და ეს ერთგვარი სოციალური პასუხისმგებლობაცაა როგორც კომპანიის, ასევე პირადად ჩემი მხრიდან, რადგან ეს არის ჩემი მშობლიური სოფელი, მე პირადად ძალიან ვაფასებ ჩემს ფესვებს და ძალიან მინდოდა, რომ აქ ასეთი ტიპის პროექტი გაკეთებულიყო ეს უნდა იყოს სტიმული და დასაწყისი ჩვენს კუთხეში ვაზის გურული ჯიშების

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ავთანდილ თალაკვაძემ 13 სოფლიდან 9 -ში ახალი კადრი დანიშნა

ავთანდილ თალაკვაძემ დაბა ურეკში, სოფელ გურიანთაში, სოფელ ოზურგეთსა და ვაკიჯვარში ძველი კადრები დატოვა და შესაბამისად, ადგილებზე მუშაობას კოტე შარაშენიძის მიერ დანიშნული გამგებლები გააგრძელებენ. ესენია:

დაბა ურეკის ადმინისტრაციული ერთეული – **დავით რობაქიძე;**

გურიანთის ადმინისტრაციული ერთეული – **გია ფასიეშვილი;**

სოფელ ოზურგეთის ადმნისტრაციული ერთეული – **ბადრი თავდუმაძე;**

ვაკიჯვრის ადმინისტრაც-იული ერთეული – **გიორგი მდინარაძე.**

რაც შეეხება დანარჩენ 17 ადმინისტრაციულ ერთეულში ვინ იქნება მერის წარმომადგენელი, ამ საკითხზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურის ცნობით, კონსულტაციები და განხილ ვები კვლავაც მიმდინარეობს და ახ-ალი სახელები და გვარები ცნობილი ახლო მომავალში გახდება.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16- დღიან კამპანიას ოზურგეთიც უერთდება

საქართველოს მთავრობასთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16- დღიან კამპანიას, რომელიც ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება.

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა, როგორც ადამიანი სუფლებების უხეში, დაფარული და ამავდროულად, ყველაზე გავრცელებული დარღვევა, მსოფლიოსთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს.

პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების მიუხედავად, სახელმწიფო განაგრძობს მუშაობას ძალადობის პრევენციის, აღმოფხვრის და მსხვერპლთა და დაზარალებულთა სათანადო რეაბილიტაციის მიმართულებით.

ძალადობის მსხვერპლთა მხარდა-ჭერის მიზნით, აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იგეგმება შემდეგი აქტივობები:

მოსახლეობის ინფორმირება, საინფორმაციო ბროშურების გავრცელება;

თემატური საინფორმაციო /საგანმანათლებლო შეხვედრა საჯარო და სამრევლო სკოლების უფროსკლასელებთან;

ოზურგეთის მერიასთან არსებულ „ქალთა ოთახში“ შეხვედრა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალებთან;

სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით;

სკოლის და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებთან შეხვედრა.

მუნიციპალიტეტებს 16 დღიანი კამპანიის განხორციელებაში მხარს უჭერს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

შეგახსენებთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელსაც მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია უერთდება. კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

„დომინანტა“ ტალინსა და კიევში მიიწვიეს

შემომედებითი გაერთიანება „ფესვების“ ხელშეწყობით, 2022 წლის 13 იანვრიდან 20 იანვრამდე, ქ. ტალინში „**Winter Reval fest 2021-2022**“ კონკურს-ფესტივალზე და ქ. კიევში, კულტურული პროგრამების გაცვლის მიზნით, მიწვეულია ურეკის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლი „დომინანტა“. აღნიშნული კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში ასევე მიწვეულია მერაბ მორჩილაძე, ავთანდილ სირბილაშვილი, ვარდო ჯინჭარაძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი მაიზერ ცელაძე.

ოზურგეთის საკრებულომ ყოფილი მერის დროს ფორმირებული ბიუჯეტის პროექტი მერიას შენიშვნებით უკან დაუბრუნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიას 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნა. საკრებულოს რეკომენდაციები და შენიშვნები დარგობრივი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებში აისახა, რომლებიც გასათვალისწინებლად აღმასრულებელ ორგანოს გადაეგზავნა. მერიამ საკრებულოს მთავარი საფინანსო დოკუმენტი 15 ნოემბერს წარუდგინა.

შენიშვნები ჰქონდათ ბიუჯეტთან დაკავშირებით: განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიას; აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრების განცხადებით, ბიუჯეტის პროექტი პროგრამული ბიუჯეტის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

შეგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი მერიამ საკრებულოს 15 ნოემბერს წარუდგინა და კანონის მიხედვით, აღმასრულებელმა ორგანომ შენიშვნები 10 დეკემბრამდე უნდა გაითვალისწინოს და დოკუმენტი უკან ამ ვადამდე დააბრუნოს.

თვალსაზრისი

რეპლიკა საზოგადოებისადმი

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, სადაც ყალიბდებოდა არა ბუტაფორიული, არამედ ჭეშმარიტი დემოკრატია, ვერსად ნახავთ ვინმეს მიმართ თქმულიყოს სიტყვა „ბატონო“. ერთადერთი მიმართვის ფორმა იყო „მოქალაქე“, დაწყებული ნაპოლეონით, დამთავრებული ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ მეზოვემდე.

სიტყვას მოყვა და ჩვენც ხომ გვაქვს მიღწევები ასეთ საკითხებში, ანუ XXI საუკუნეში ოფიციალურად მივმართოთ მეეზოვეს არა „მოქალაქე“, არამედ „ბატონო“. (მერე რა, რომ სინამდვილეში „ციყვებად“ იწოდებიან?!).

მსგავსმა სიფანტობამ მიგვიყვანა იქ, სადაც ვართ და დავრჩებით მანამდე, სანამ ვერ ვისწავლით ყველას და ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი.

ასევე, განცვიფრებას იწვევს ზოგიერთი ჟურნალისტი, რომლებიც ვერ ხედავენ სხვაობას პოლიციელსა და სამართალდამცველს შორის. ჩემი აზრით, პოლიციელი შეიძლება იყოს აქეთ-იქით, მაგრამ სამართალდამცველი ვერ იქნება ასეთი. ამიტომ, როცა ჟურნალისტი გვეუბნება, რომ სამართალდამცველებმა, ცემა-ტყეპის შემდეგ, დააკავეს ესა თუ ის ადამიანები და შემდეგ იწყებს გარჩევას მათი უდანაშაულობისა, ანუ ასეთ კონტექსტში კორექტულია ახსენო პოლიცია, ვიდრე სამართალდამცველი. ეს იმიტომ, რომ უღირსმა პოლიციელმა ვერ მოიგოს სამართლდამცველის სტატუსი, ვერ ისარგებლოს ამ სტატუსით.

როცა ყოველდღე, ყოველ საათსა და წუთში გვესმის და ვხედავთ, რომ მთავრობის წევრები არაადეკვატურად ექცევიან ჟურნალისტებს, ზურგს აქცევენ, შეკითხვებზე არ პასუხობენ (საკმარისია გავიხსენოთ გ. ვოლსკიდ ჟესტი და არა მხოლოდ), ასეთ „ბელადებს“ შენც აიღე და, „ბატონოს “ ნაცვლად, მიმართე „მოქალაქე“. რა, შეურაცხმყოფელი იქნება?

უფრო შეურაცხმყოფელი ის უნდა იყოს, როცა უღირს ადამიანს „ბატონობით“ მიმართავ აიძულებს პირდაპირი მნიშვნელობით მიიღოს ეს სიტყვა და მართლა ბატონად წარმოიდგინოს თავისი თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია ასე იქცეოდნენ ადამიანები (როგორც იქცევიან) სახელმწიფო მოხელის რანგში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ პერიოდში ფრანგებისთვის სიტყვა „ბატონო“ იყო უცხო. მაგრამ იმ ველურობის პირობებში, რაც მაშინ ხდებოდა, სხვანაირი მიმართვის ფორმა, გარდა „მოქალაქისა“, უადგილო იქნებოდა (რასაც ადასტურებს ჟოზეფ ფუშეზე შტეფან ცვაიგის ისტორიული ნარკვევი).

იყო ასეთიც: როცა მარატს თავი მოკვეთეს და იმავე ჯალათმა მოკვეთილ თავს სილა გააწნა, ჯალათი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან იმ მოტივით, რომ მის უფლებამოსილებაში შედიოდა თავის მოკვეთა და არა შეურაცხყოფის მიყენება.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ორ საუკუნეზე მეტია გასული (1794-2021), მაგრამ უძველეს, უდიდესი კულტურის საქართველოში ყვავის და ნაყოფს იძლევა მხოლოდ კორუფცია, რომელიც ისეთი სიმახინჯით დაბიჯებს ქვეყანაში, ყველაფერი დაჩრდილულია იმ დონეზე, რომ შეურაცხყოფაზე საუბარი რაღა სახსენებელია.

ვერ იქნა და ვერ შევიგენით, რომ მარტო სიმღერა და ცეკვა-თამაში არ არის კულტურა, ის მხოლოდ კულტურის ნაწილია, ხოლო ჭეშმარიტი კულტურა ურთიერთგაგებასა და და ურთიერთპატივისცემაზეა აღმოცენებული. ყოველივე ეს სანამ ჩვენს სისხლში არ შევა (მხოლოდ თავში ჩადება არ დარჩა საკმარისი) ქვეყანა მუდამ ხელგაწვდილი იქნება.

მსგასი „წვრილმანები“ უამრავია ქვეყანაში, ეშმაკი კი წვრილმანებშია.

გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი.

„როიალ ასკანამ“ ჩხავერის პირველი მოსავალი მიიღო

„როიალ ასკანას“ პროექტი ახალ ეტაპზე გადავიდა

აღორძინებისა. როგორც იცით, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, რომ აღდგენილიყო ძველი ქართული ვაზის ჯიშები, როგორც გურიაში ასევე მთელ საქართველოში. საგურამოში სანერგე მეურნეობაში ქართული ვაზის 438 ჯიშის აღდგენა მოხდა და შემდეგ ეს ტენდენცი მთელ საქართველოს მოედო. სიამაყით ვამბობ, რომ გურია არის ერთ-ერთი პირველი და გამორჩეული რეგიონი და ჩვენ აქ შევქმნით პროდუქციას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ჩვენ პროდუქტს ვყიდით, დაიკავებს ღირსეულ ადგილს“.– განაცხადა **ზურაბ ჩხაიძემ** შარშან მედიასთან.

„შატო ასკანას“ მეპატრონე ამბობს, რომ პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ პროფესიებისა და მიმართულებების განავითარებას.. ვიზიტორებს საშუალება ექნებათ ეწვიონ შატოს, მიიღონ მაღალი ხარისხის სტუმარ-მასპინძლობის სერვისი და ადგილზე გაეცნონ ღვინის წარმოების პროცესს.

მართალია, გაჭინაურდა, მაგრამ ქ. ოზურგეთში მიმდინარეობს სასტუმრო „გურია პალასის“რეკონსტრუქცია. აქ განთავსდება რეგი-ონული ბიზნეს-ჰაბი, რომლითაც მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესები ისარგებლებენ. ერთ-ერთი პირველია „საქართველოს ბანკი“, რომლის ოფისიც „გურია პალასში“ განთავსდა. გარდა საოფისე ფართებისა, ბიზნეს-ცენტრი მოიცავს საკონფერენციო დანიშნულების სივრცეებსაც.

პროექტი გულისხმობს რეგიო-ნში უპრეცენდენტო მასშტაბის ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის შექმნასაც, რომელიც შეძლებს ერთ-ობლივად 150 პერსონას უმას-პინძლოს. აღნიშნულ დარბაზში წარმოდგენილი იქნება როგორც გურული ღვინის სახეობები, ასევე, ზოგადად, კონიაკი, ჭაჭა და ღვინო მთელი საქართველოდან.

„როიალ ასკანას“ პროექტი ახალ ეტაპზე გადავიდა. ახლა უნდა დაველოდოთ, როდის გამოვა ბაზარზე „შატო ასკანაში“ დაწურული გურულების საამაყო „ჩხავერი.“

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის შესახებ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევების განხილვა ჩატარდა

ალიონი. „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის განმავითარებელი კომპანია **CCEH Hydro VI**-ის ინიციატივით, მდინარე ბახვისწყალზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესახებ უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევების შედეგების განხილვ აოზურგეთში, ფოლკლორის ცენტრში გაიმართა.

სპეციალურად ამ განხილვისთვის, კომპანიამ ოზურგეთში მოიწვია იმ საერთაშორისო კომპანიების ექსპერტები, რომლებიც მუშაობდნენ კვლევებზე. სწორედ მათ წარუდგინეს დამსწრე საზოგადოება სკვლევების შედეგები დ არეკომენდაციები. კერძოდ, კლიმატის დაკუმულაციურიზე მოქმედების კვლევებზე იმუშავა 20- წლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ექსპერტმა, **პიერ ბიდერმანმა**. ის ამჟამად ფრანგული საკონსულტაციო კომპანიის ლპაგე-ს დამფუძნებელი და მთავარი კონსულტანტია. რაც შეეხება ბიომრავალფერ ოვნების კვლევას, ამ ნაწილში კომპანია **CCEH**-მა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია შ ღ-ის ბრიტანეთის ოფისთან გააფორმა ხელშეკრულება. კვლევას, უშუალოდ ბრიტანელი ექსპერტი, **ნიკოლა ფოლკსი** ხელმძღვანელობდა. ის ბახვი 1 ჰესის საპროექტო ტერიტორიის შესწავლაზე საქართველოს ამა წლის ივნისში სტუმრობდა.

ბიომრავალფეროვნების, კლიმატისა და კუმულაციური კვლევების პრეზენტაციას ესწრებოდნენ ბახვი 1 ჰესის პროექტით დაინტერესებული მხარეები. კერძოდ, ბახვი 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომელიც თავის მხრივ დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი პირებით ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სექტორიდან. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის, მედიის, ბიზნესის და უშუალოდ საპროექტო ტერიტორიასთან ახლოსმდებარე სოფლების წარმომადგენლები.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალ არჩეული მერი **ავთანდილ თალაკვაძე** ესწრებოდა.

მიხეილ ნიბლაძე, კავკასიის განახლებადი ენერგიის ფონდის (CCEH) დირექტორი:

„ჩვენი უპირველესი მიზანი იყო გაგვეზიარებინა დაინტერესებული მხარეების რჩევა, რომელიც უნდა ითქვას, რომ სრულ თანხვედრაში მოდიოდა ჩვენს გეგმებთან და კვლევების გარკვეული ნწილი ჩაგვებარებინა მსოფლიოში აღიარებული უცხოელო ექსპერტებისთვის. უკვე, მისში გავფორმეთ ხელშეკრულებები დ აკვლევები, რომელიც ასე აღელვებდა ადგილობრივ მოსახლეობას, კერძოდ, ბიომრავალფეროვნება, მიკროკლიმატზე გავლენა და კუმულაციური ანგარიში, ივნისიდან დაიწყო. უკვე გვაქვს როგორც ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის თუ რა ვითარებაა საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით და რა შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული., ასევე, დავრწმუნდით, რომ საპროექტო ჰესი, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, კლიმატზე გავლენას ვერ მოახდენს. რაც შეეხება კუმულაციურ ზემოქმედებას, რომელიც თან მდევი, ან კომბინირებული ზემოქმედების ერთობლიობაა, რაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის საქმიანობას ან პროექტებს, გარკვეულ ბუნებრივ გარემოზე ან სოციალურ ჯგუფებზე, აქ გვაქვს კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებაც უკვე არის ჩვენი ვალდებულება, იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ან კიდევ, შევარბილოთ გავლენა“.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხის მენეჯერის, **დავით მიქელაძის** განცხადებით, *„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების პროცესს არ ექნება გაზომვადი ან მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბახმაროს მაკრო ან მიკროკლიმატზე,*

*და არც მდინარე ბახვისწყლის წყალშემკრებ აუზზე. სწორედ აქედან გამომდინარე, პროექტს არ ესაჭიროება რაიმე სახის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება კლიმატის საკითხთან მიმართებაში. კლიმატის კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ესწავლილი ტყის საფარი და მივიღეთ ტყის განაშენიანებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომელიც **IFC** და **EIB**-ის მიერ განსაზღვრულ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპებს ეყრდნობა. ბრიტანელი მკვლევარის თქმით, თუ მენეჯმენტი განახორციელებს ყველა შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებას, „ბახვი 1 ჰესის“პროექტს არ ექნება ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც ცხადია, ჩვენი ინტერესიც არის. რაც შეეხება კუმულაციურ ზემოქმედებას, ფრიად საინტერესო კვლევაა და უფრო ფართო ჭრილში განიხილავს ბახვი 1 ჰესის და სხვა ინიციატივების ერთობლივ ზემოქმედებას. მასში, ფრანგი ექსპერტის მიერ ჩაიდო კონკრეტული რეკომენდაციები ზემოქმედების შერბილების კუთხით, მდინარისა და თევზის, ტყის საფარის, ტრანსპორტირების მენეჯმენტისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით, რაც ცხადია, გათვალისწინებული და შესრულებული იქნება კომპანიის მიერ“.*

„ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის დოკუმენტის შეფასების ანგარიში

ჰესის სათავე ნაგებობისთვის შერჩეული ადგილის ხედი „მზის ჩასავალი გორიდან“

თუ „ბახვი 1“ ჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მოსაზრებებს მივემხრობით და მივიჩნევთ, რომ გამართლებულია სკოპინგის ეტაპზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეფასების გარეშე დატოვება, როგორიცაა დარჩენილი ეკოლოგიური ხარჯის პირობებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, თევზების პოპულაციების გადასარჩენად აუცილებლად მოსაწყობი და მაქსიმალურად ეფექტური თევზსავლელებისა და თევზამრიდების ალტერნატივების განხილვა და შეფასება და სხვა, მაშინ გამოდის, სკოპინგის პროცედურის განხორციელება საერთოდ კარგავს აზრს და სკოპინგის ანგარიში წარმოადგენს გზშ-ის ეტაპზე შესაფასებელი და საკვლევი საკითხების მხოლოდ მშრალ ჩამონათვალს, რომელიც მომზადებულია ყოველგვარი წინასწარი შესწავლის გარეშე, სხვა მსგავსი დოკუმენტებიდან „დაკოპირების“ მეთოდით.

რაც შეეხება წყლის საკმარისობის საკითხს, კომპანიის მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში, წინასწარი შეფასებით, ეკოლოგიურ ხარჯად განსაზღვრულია 0,29 მ 3 /წმ. შენიშვნების რეაგირების ცხრილში, კომპანია აზუსტებს, რომ მოცემული ეკოლოგიური ხარჯი წარმოადგენს წინასწარ მონაცემს და საჭიროებს შემდგომ ეტაპზე დაზუსტებას და დამატებით კვლევას. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია სკოპინგის ეტაპზე დაზუსტდეს თუ რა მეთოდოლოგიით და რა ფაქტორების გათვალისწინებით მოხდება შემდგომში მდინარის ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის შეფასება. ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სენსიტიური სახეობის გადარჩენისთვის, როგორიცაა ნაკადულის კალმახი და ისეთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატის შენარჩუნებისთვის, როგორიცაა ჭალის ტყე.

წყლის ეკოლოგიური ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია

სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კომენტარზე, რომელიც ეხებოდა ბახვისწყალზე „ბახვი 1“ ჰესის პროექტის განხორციელების შედეგად მდინარის ბუნებრივ კალაპოტში გაშვებული ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობას და გამოთვლის მეთოდოლოგიას, კომპანიის მიერ შემოთავაზებულ დანართში ვკითხულობთ, რომ ეკოლოგიურ ხარჯად აღებულია საშუალო მრავალწლიური ხარჯის 12%, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად არ არის წარმოდგენილი ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლის მეთოდოლოგია.

მნიშვნელოვანია, მდინარის ეკოლოგიურ ხარჯთან მიმართებაში ხაზი გაესვას იმას, რომმდინარე ბახვისწყალი წარმოადგენს ნაკადულის კალმახის საბინადრო გარემოს, რომელსაც არსებობისათვის სჭირდება ჟანგბადით გაჯერებული ჩქარი და ცივი მდინარე, აღნიშნული მახასიათებლები კი მდინარის ხარჯის შემცირების შემდეგ დაიკარგება, რაც საფრთხეს შეუქმნის ნაკადულის კალმახს და გამოიწვევს მისი რაოდენობის კლებას და გრძელვადიან პერსპექტივაში სახეობის მოცემული მდინარიდან გაქრობას, აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ”. კანონის მე-11 მუხლის მიხედვით „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი სბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა“.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს მდინარის ან მდინარესთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეობებისა თუ ეკოსისტემების საჭიროებები, რათა პროექტის განხორციელებამ არ გამოიწვიოს გამოუსწორებელი ზიანი.

ასევე, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური

გვ-4

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის შესახებ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევების განხილვა ჩატარდა

ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს მდინარის ან მდინარესთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეობებისა თუ ეკოსისტემების საჭიროებები, რათა პროექტის განხორციელებამ არ გამოიწვიოს გამოუსწორებელი ზიანი.

ასევე, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის მიდგომები.„წყლის ჩარჩო-დირექტივა“ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და, მათ შორის საქართველოს, როგორც ასოცირების შეთანხმების მხარეს, აკისრებს წყლის ყველა ობიექტზე კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევის ვალდებულებას. სწორედ ამ ვალდებულების შესასრულებლად და „წყლის ჩარჩო-დირექტივის“ ეროვ-ნულ დონეზე დანერგვის ხელშესა-წყობად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მხარდაჭერით, 2017 წელს შემუშ-ავებული იქნა “საქართველოს მდინარეების გარემოს დაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია“.

ეს თანამედროვე მეთოდოლოგია გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებას, როგორც კომპლექსურ პროცესს ისე უყურებს და ეკოლოგიური ხარჯის დადგენისას არაერთ ფაქტორს ითვალისწინებს, მათ შორის:

•გარემოსდაცვითი ხარჯის შესაბამისობა წყლის ობიექტის ბუნებრივი ხარჯის დინამიკასთან - მდინარის ბუნებრივ კალაპოტში გასატარებელი გარემოსდაცვითი ხარჯი უნდა შედგებოდეს არა ერთი და იმავე სიდიდის ეკოლოგიური ხარჯისგან მთელი წლის განმავლობაში, არამედ სხვადასხვა სიდიდის ხარჯისგან დროის სხვადასხვა მონაკვეთში მდინარის ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების თავისებურებებისა და მიმდებარე ჰაბიტატების საჭიროებების გათვალისიწინებით;

გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენა მხოლოდ მდინარის ჰიდროლოგიაზე დაყრდნობით არ შეიძლება და ეკოლოგიური ხარჯის სწორად შეფასებისთვის ასევე გასათვალის-წინებელია მორფოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, სოციალური და ეკოლოგიური ინფორმაციაც;

გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენა ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. ეკოლოგიური ხარჯის სწორად და ადეკვატურად შესაფასებლად საჭიროა გამოცდილი, კვალიფიციური და სხვადასხვა დარგის ექსპერტთა სამეცნიერო ჯგუფის ფორმირება;

გარემოსდაცვითი ხარჯის სრულყოფილად შესაფასებლად, ზოგადად, ერთი პროექტისათვის მინიმუმ 2-4 უბნის შესწავლაა აჭირო. უბნების ადგილმდებარეობა კი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ისინი იყოს მდინარის საკვლევი მონაკვეთის მაქსიმალურად რეპრეზენტატული;

ხაზგასასმელია, რომ „ბახვი 1“ ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ეტაპზე მდინარე ბახვისწყალში სავალდებულოდ დასატოვებელი გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებისას გამოყენებული არ ყოფილა „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია“ და, შესაბამისად, გათვალისწინებული არ ყოფილა ყველა ზემოთჩამოთვლილი და კიდევ არაერთი სხვა ასპექტი, რომელიც მდინარის კარგი ეკოლოგიური სტატუსის შესანარჩუნებლად და ევროკავშირის „წყლის ჩარჩო-დირექტივის“ მოთხოვნების შესასრულებლად არის სავალდებულო. „ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის „გამა ქონსალთინგის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება გარემოსდაცვითი ხარჯის დათვლისას არ მომხდარა, რადგანაც კანონით ეს ვალდებულება მათ არ გააჩნიათ.

მართალია, ეროვნული კანონმდებლობა პირდაპირ არ ავალდებულებს საქმიანობის განმახორციელებლებს, რომ წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებისას აღნიშნული მიდგომა გამოიყენონ, თუმცა ერთია რას გვავალდებულებს კანონი და მეორეა, რას გვთხოვს კერძო პასუხისმგებლობა, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ჩვენი პროექტი აკმაყოფილებს ყველანაირ გარემოსდაცვით სტანდარტს და მის განხორციელებას გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედება არ ექნება. აქ ასევე გასათვალისწინებელია „ბახვი 1“ ჰესის პროექტის ადგილმდებარეობის - ბახმაროს რეკრეაციული ზონის განსაკუთრებით მაღალი ღირებულება რეკრეაციული თუ ეკოლოგიური თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, როდესაც ერთი მხრივ კომპანიის კერძო პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ და ვითხოვთ მისგან, გარემოსდაცვითი ხარჯის დათვლისას გამოიყენოს თანამედროვე მეთოდოლოგია და გახდეს საქართველოში მდინარეებისთვის გარემოსდაცვითი ხარჯის დათვლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, მეორე მხრივ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფოს ვალდებულება, კანონით მოითხოვოს საქმიანობის განმახორციელებლებისგან „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენება. უკვე მეოთხე წელია, რაც მეთოდოლოგია მიღებულია, თუმცა ეს დრო ვერ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფოს სათანადო ნაბიჯები გადაედგა აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებისთვის სავალდებულო ხასიათის მისანიჭებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ე.წ. 10%-12%-იანი წყლის ლიმიტის მიდგომით დერივაციული ჰესები არ შენდებოდა არც საბჭოთა კავშირში, მსგავს მიდგომებს არ იზიარებს არც ევროპის ქვეყნები და ამერიკა. 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის მიდგომა წარმოადგენს ე.წ. „ტენანტის მეთოდის” (იგივე „მონტანას მეთოდი“) არასწორ ინტერპრეტაციას. 2012 წელს, დერივაციული ჰესების საკითხზე გამართული შეხვედრის ოქმში ვკითხულობთ, რომ „შეფასების ამ მეთოდის თანახმად, მდინარეში წყლის 10%-ის დატოვები სშემთხვევაში, თევზის ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური “. ამდენად, ბოლო პერიოდში საქართველოში მომზადებული გზშ-ანგარიშებში მოცემული მტკიცება, თითქოს, ინვესტორი კომპანიები მისდევენ საყოველთაოდ მიღებულ ან/და საქართველოში არსებულ პრაქტიკას, არ შეესამება სინამდვილეს. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს გზშ-ანგარიშებში მოცემული მტკიცება, თითქოს, ასეთი საპროექტო გადაწყვეტის შემთხვევაში, გარემოზე ზეგავლენა იქნება„მინიმალური“ და„ უმნიშვნელო“..

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასების მიზნით სამინისტრომ კომპანიისაგან მოითხოვა წარმოედგინა კურორტ ბახმაროდან საპროექტო ჰესამდე რელიეფური სურათი, იმის დასადასტურებლად, რომ ჰესის ინფრასტრუქტურა ხილული არ იქნებოდა კურორტიდან.

კომპანიამ მე-8 დანართის სახით წარმოადგინა იმ სავარაუდო ტერიტორიის ფოტო-მასალა, სადაც დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განხორციელდება ჰესის პროექტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი ფოტო-მასალა არ შეესაბამება სამინისტროს მიერ მოთხოვნილს, რადგანაც სამინისტრო კომპანიისაგან ითხოვდა ფოტო-მასალას, რომელიც გვიჩვენებდა კურორტ ბახმაროდან დანახულ საპროექტო ტერიტორიას. სამინისტროს შენიშვნაში ვკითხულობთ „წარმოდგენილი უნდა იქნეს კურორტი ბახმაროდან საპროექტო ჰესამდე რელიეფური სურათი, რაც დაადასტურებს რომ საკურორტო ზონიდან არ იქნება ხილული ჰესის ინფრასტრუქტურა.” თუმცა, კომპანიის მიერ შემოთავაზებული ფოტოები ასახავსჰესის სავარაუდო საპროექტო არეს. მე-8 დანართში 1-4 ფოტო დასათაურებულია, როგორც „პანორამული ხედები „ბახვი 1“ჰესის საპროექტო სათავე ნაგებობის ტერიტორიიდან და არა საპროექტო ტერიტორიის პანორამული ხედები კურორტ ბახმაროს სხვადასხვა წერტილიდან (მაგალითად: სილამაზის წყარო, მზის ჩასავალი გორა თუ სხვა).

გარდა ამისა, საგულისხმოა დანართში წარმოდგენილი რელიეფის გრაფიკული ფოტოც, სადაც ბახმაროდან ჰესამდე მანძილი ათვლილია დასახლების ცენტრიდან მაშინ, როდესაც ვიზუალური ზემოქმედების საკითხის შესაფასებლად უფრო სწორი იქნებოდა ათვლის გაკეთება არა უშუალოდ დასახლებიდან, არამედ ტურისტულად ღირებული ისეთი წერტილებიდან, რომლებიც უფრო ახლოს მდებარეობს ჰესის საპროექტო ტერიტორიასთან და, რაც მთავარია, სარგებლობს დიდი პოპულარობით დამსვენებლებს შორის. შესაბამისად, ლანდშაფტზე ვიზუალური ზემოქმედების საკითხი უნდა შეფასდეს არა დაბლობში არსებული დასახლების, არამედ ისეთი წერტილების მიმართ, როგორიცაა ფაფარა მთა, სილამაზის წყარო თუ ე.წ. მზის ჩასავალი გორა, რომლიდანაც იშლება მზის ჩასვლის ულამაზესი პანორამული ხედები.

წარმოდგენილ მარტივ შენიშვნაზე არარელევანტური დოკუმენტაციის წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ კომპანია მიზანმიმართულად ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომ ჰიდროელექტროსადგურს არ ექნება ვიზუალური ზემოქმედება ლანდშაფტზე.

2021 წლის 20 ივნისს ჩვენს მიერ განხორციელებული საველე გასვლისას, რომლის მიზანსაც მდინარე ბახვისწყლის ხეობაში „ბახვი 1“ ჰესის საპროეტო ტერიტორიის მონახულება წარმოადგენდა, გამოვლინდა, რომ ჰესის სათავე ნაგებობა და წყალშეგუბება ხილულია კურორტ ბახმაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადგილიდან - მზის ჩასავალი გორიდან,რომელიც დამსვენებლებისთვის და ტურისტებისთვის ერთ-ერთ მთავარ თავშეყრის ადგილს წარმოადგენს, სწორედ პანორამული ხედების გამო.

შესაბამისად, მტკიცებარომ ჰესს კურორტ ბახმაროზე არ ექნება უარყოფითი ლანდშაფტურ-ვიზუალური ზემოქმედება, არ შეესაბამება სიმართლეს.

გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება

სამინისტროს კიდევ ერთი შენიშვნა შეეხებოდა გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას. თუმცა,კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არც გარემოზე მიყენებული შეუქცევადი ზიანია შეფასებული და არც მისი აუცილებლობაა დასაბუთებული.

კომპანია აცხადებს, რომ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შეუქცევად ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. „ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების სახედ უნდა ჩაითვალოს პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდ. ბახვისწყლის მონაკვეთზე ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება და წყლის ბიოლოგიურ გარემოს საარსებო პირობების გაუარესება” - ვკითხულობთ კომპანიის მიერ წარმოდგენილ პასუხში, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება აისახება და სავარაუდოდ შეუქცევად ზიანს მიაყენებს არა მხოლოდ წყლის ბიომრავალფეროვნებას, არამედ წყალთან დაკავშირებულ სხვა სახეობებსა და მიმდებარე ეკოსისტემებს. პროექტის სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საპროექტო დერეფანში ექცევა ჭალის და სანაპირო ტყის ჰაბიტატი (**EUNIS-**ის კლასიფიკაცით - 1.1 ჭალისა და სანაპირო ტყეები), რომელიც დამოკიდებულია მდინარის მიერ სეზონურ შეტბორვაზე, შესაბამისად, მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება და მისი ხარჯის შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს მოცემული ჰაბიტატის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეობების შეუქცევად დაზიანებასა და კარგვას, აღნიშნულ ზემოქმედებაზე საუბარი კი არ არის არც სკოპინგის ანგარიშში, არც სამინისტროსადმი წარდგენილ დოკუმენტაციაში. ამასთან, ეს საკითხი არ არის ნახსენები არც სამომავლო კვლევების ნუსხაში, სადაც ძირითადი აქცენტი ფაუნის და იქტიოფაუნის წარმომადგენლებზე კეთდება.

კომპანია ასევე ვერ ახდენს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვას. ის აცხადებს, რომ სკოპინგის ფაზაზე შეუძლებელი იყო საჭირო ინფორმაციის მოძიება და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე. არადა, სკოპინგი სწორედ ის ეტაპია, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის მოსალოდნელი სარგებელი და სავარაუდო დანაკარგი და დასაბუთებული იყოს ამ დანაკარგის გაღების საჭიროება, რათა გადაწყვეტილების მიმღებთ ჰქონდეთ შესაძლებლობა სკოპინგის ფაზაზევე თქვან უარი პროექტის განხორციელებაზე და ამით, თავიდან აირიდონ ფინანსური, ადამიანური თუ დროითი რესურსების ტყუილად კარგვა ან გადაიყვანონ პროექტი შემდგომ ეტაპზე უფრო დეტალური კვლევების ჩასატარებლად.

როგორც კომპანიის მიერ სამინისტროს შენიშვნებზე საპასუხოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცის ხარისხიდან დგინდება, კომპანიამ ვერ შეძლო:

1. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების საკითხის შეფასება
2. პროექტის განხორ-ციელებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვა გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში
3. პროექტის კუმულაციური ზემოქმედების შეფასება
4. ზემოქმედების შეფასება კურორტ ბახმაროს მიკროკლიმატსა და მნიშვნელოვან მცენარეულ საფ-არზე
5. საპროექტო ტერიტორიის ჰიდროლოგიური და გეოლოგიური საკითხების შეფასება

თუმცა, ზემოაღნიშნული საკითხების სრულფასოვანი კვლევის საჭიროების მიუხედავად, კომპანიას მაინც მიაჩნია, რომ პროექტის ზემოქმედება გარემოსა და სოციალურ საკითხებზე არ იქნება მაღალი.

ტერიტორის ღირებულების გათვალისწინებით, მოცემულ მნიშვნელოვან საკითხებზე დამატებითი და დაზუსტებული კვლევების არარსებობის პირობებში, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე დადებითი გადაწყვეტილების გაცემა არ უნდა განიხილებოდეს.

კუმულაციური ზემოქმედება

სამინისტრომ კომპანიას ასევე მოსთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა რეგიონში დაგეგმილი ჰესების და მათ მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს შენიშვნა ეხება კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას წყლის და წყალთან დამოკიდებულ სახეობებზე, თუმცა კუმულაციური ზემოქმედება უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ წყლის ეკოსისტემაზე, არამედ, ზოგადად, გარემოზე პროექტისაგან მიყენებულ ჯამურ ზემოქმედებას და ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროა ჰესის მშენებლობისა თუ ექსპლუატაციისათვის, მათ შორის, „ელექტროგადამცემი ხაზებისაგან მიღებული ზემოქმედება”.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ილიკო მორჩილაძე და ლანჩხუთის კრება

ილიკი მორჩილაძე - მომღერალი და ლოტბარი

ილია მორჩილაძე

სამყაროში გაბნეული უნიკალური ხმები უკვალოდ არ იფანტება, უფრო მეტიც: ხშირად თავის ადრესატს პოულობს, ძლიერდება, მრავლდება, იხვეწება და მომავალ თაობებთან დამაკავშირებელ უზარმაზარ ძალად გვევლინება, რომლის საყრდენი ის ადამიანები არიან, რომლებმაც ამ ხმების ფასი იციან, უფრთხილდებიან და მოვლილ-ნაპატრონევს ისევ მომავალ თაობებს გადასცემენ. წარსულის საუკეთესო, მართლაც უნიკალური ხმების მოფრთხილებისა და შენახვის პროცესი მე-20 საუკუნიდან დაიწყო და საქართველოში ეს პერიოდი მომღერალთა ვარსკვლავთცვენას ჰგავს. ამ მხრივ კი, ნამდვილად გამორჩეული გურიაა: **სამუელ ჩავლეშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, ლა-დიმე ბერძენიშვილი, ერქომაიშვი-ლები, ხუხუნაიშვილები...** ყოველი მათგანი თითქმის ერთდროულად ბრწყინავს ქართულ მუსიკალურ ცისქვეშეთში. მათი ხმების დაფიქსირება-შენახვამაც არ დააყოვნა. იღბლიანი შემთხვევის წყალობით ჩაიწერა და შემდეგ უნიკალური ჩანაწერების სახელით გამოიცა. თუმცა, ბედმა ყველას როდი გაუღიმა. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია ლანჩხუთელი მომღერალი და ლოტბარი **ილიკო მორჩილაძ**ე. ადრე დაობლებულმა ილიკომ, მუსიკალური ნიჭის წყალობით, თავის გარშემო შემოიკრიბა მომღერალი მეგობრები და შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა, თუმცა მათი ჩანაწერის ფირფიტაზე გადატანა და გამოცემა არ მოხერხდა. თავად ილიკოს ბედიც უკუღმა დატრიალდა -1936 წელს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და ციმბირში - გადაასახლეს. იქიდან კი, ჯანმრთელობა შერყეული და გულგატეხილი დაბრუნდა. საუკეთესო წლები კი, რომლებიც სიმღერაზე ფიქრს, გუნდთან მღერასა და შემოქმედებით წვას უნდა დასთმობოდა, ამაოდ ჩაიარა.

ცხოვრების წლები და პირველი მასწავლებელი

სიმღერის პირველი მასწავლებელი

ილიკო კაკაბის ძე მორჩილაძე დაიბადა 1891 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ სილაურში. ადრე დაობლებული ბიჭი მამიდა ანუშკა გოგუაძეს წაუყვანია საჭამიასერში, შემდეგ კი, საცხოვრებლად ლანჩხუთში გადასულან. წერა-კითხვაც მამიდამ შეასწავლა. სიმღერის ნიჭი ბავშვობიდანვე გამოუვლენია. ილიკომ სიმღერა ვარლამ სიმონიშვილთან შეისწავლა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე აითვისა გურული სიმღერის ვარლამისეული ვარიანტები და რეპერტუარი. თავდაპირველად მასთანვე მღეროდა 1903 წელს შექმნილ 15-კაციან გუნდში. 1917 წელს გუნდი თბილისში მიიწვიეს. კონცერტის შემდეგ კომპოზიტორი **კოტე ფოცხვერაშვილს** აღუნიშნავს გურულ სიმღერათა მრავალფეროვანი ბუნება და სირთულე. ილიკოს გარდა, ამ გუნდში მღეროდნენ **ფიფაიშვილები** და **ხუხუნაიშვილები** ზემო აკეთიდან. შემდეგ ილიკომ თავად შექმნა ჯერ 4-5- კაციანი ჯგუფი, მოგვიანებით - 16-კაციანი გუნდი. ქმნიდა სიმღერებს, წერდა ლექსებს, მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს არამარტო რაიონში, არამედ ქვემო იმერეთსა და სამეგრელოშიც. კონცერტის წინ იდებოდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელს გუნდის ყოველი წევრი აწერდა (არქივში დაცულია ერთ-ერთი ხელშეკრულების დედანი). ილიკოს არქივი (ლექსები, სიმღერები) მის შვილს თბილისში გაუგზავნია **ვანო შილაკაძისთვის**. მეცნიერის საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ ის ამ ხელნაწერებს გადასცემდა ხალხური შემოქმედების სახლს (სამწუხაროდ, მასალები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში არ აღმოჩნდა).

ილიკო ოჯახს თერძობით ინახავდა. განთქმული იყო მისი შეკერილი ბოხოხი, გუნდის წევრებსაც უსასყიდლოდ შეუკერა ჩოხა-ახალუხები, ბოხოხები და აზიურები. მის სახელოსნოში თავს იყრიდნენ გუნდის წევრები და მეცადინეობაც ხშირად იქვე ტარდებოდა. იქაურობის ხშირი სტუმარი გახლდათ გურული სიმღერების დიდი მოყვარული **პარმენ ცინცაძე.** საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებული ილიკო, ვახშმის შემდეგ შვილებს - მიშასა და ნათელას -დაისვამდა და გურულ სიმღერებს ასწავლიდა. მათი ოდა სახლის აივნიდან ხშირად ესმოდათ მეზობლებს სიმღერის ხმა. ილიკო მორჩილაძე პიროვნული თვისებებითაც გამოირჩეოდა: თბილსა და მოსიყვარულეს სტუმარი უყვარდა. საღამოს შინ დაბრუნებულს სანოვაგით სავსე კალათი მოჰქონდა. მალე სტუმრებიც - მისი მომღერალნიც მოიყრიდნენ თავს და სიმღერებით გალამაზებული ლხინიგაიმართებოდა. სტუმარი,ბაბუ, სულ უნდ აგყავდესო, - ეტყოდა შვილიშვილს.

ილიკო მორჩილაძის გუნდი

ილიკო მორჩილაძემ 1923 წელს შექმნა 16-კაციანი გუნდი. მისი გუნდის წევრთა შესახებ სხვადასხვა არასრული ცნობა შემონახულა, შეჯერებული კი ასეთია: **ნოე სარჯველაძე, გიტო ლომაძე, ვარლამ სიხარულიძე, ნიტიფო ბაღდავაძე, იროდი ასათიანი, ელისო ზოიძე, ბიქტორ ლორია, ნიკოლოზ ცინცაძე.** ანსამბლის სიას ავსებს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ილიკოს მეუღლის - ლიდას - ხელნაწერი შემდეგი გვარებით: **ერმალო ორმოცაძე, ლადიკო პატარაია, იესე გოგიჩაიშვილი, კალისტრატე ქანთარია, არსენ ებრალიძ**ე. სხვა ცნობებში **გრიგოლ გუჯაბიძ**ე და **პლატონ ხინთიბიძეა** დასახელებული(ილიკოს ქალიშვილი ნათელა ვარლამ მეგრელიშვილს, ლავრენტი **ჩხარტშვილს, მოსე გორგილაძესა** და **ისაკ ურუშაძესაც** უმატებს). ამ მომღერალთაგან განსაკუთრებული ხმებით გამოირჩეოდნენ მოკრიმანჭულე გიტო ლომაძე და არაჩვეულებრივი მოქნევის ბანი იროდი ასათიანი, ასევე ილიკოს გუნდის ერთგული და უცვლელი წევრი დამწყები ნოე სარჯველაძე. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა თუ საოჯახო არქივს შემოუნახავს ორი ფოტო:შუაში თავად ილიკო მორჩილაძე, მარცხნივ ნოე სარჯველაძე, მარჯვნივ - გიტო ლომაძე ნოეს გვერდით გიტო ლომაძე. შალვა მშველიძის მიერ ლანჩხუთის კრების დროს ჩაწერილი სიმღერები დაცულია ოქროს ფონდში. სიმღერების ილიკოსეულ ვარიანტებს შემდგომში სხვა მომღერლებიც მღეროდნენ: ძიმითელ პლატონ ხინთიბიძისაგან უსწავლია მის ბიძაშვილს ბარნაბ ხინთიბიძეს „მასპინძელსამხიარულსა“, მას კი ანზორ მათითაიშვილისთვის გადაუცია, რომელმაც თავის ანსამბლში ააჟღერა ეს სიმღერა. ასევე „იერიშის“ ილოკოსეული ვარიანტი ვარლამ ვაშალომიძის ანსამბლ „დილაში“ შესრულდა.

ლანჩხუთისკრება, ანუ „გურულ კაცთა ვნახე კრება“

ქართველ კომპოზიტორ შალვამშველიძეს კონსერვატორიაში სწავლისას,თავისი ხელმძღვანელი დიმიტრი არაყიშვილის დავალებით, დაუწყია ხალხური სიმღერების მოძიება-შეკრება. ამ მიზნით საქართველოს რამდენიმე კუთხეში, მათ შორის გურიაშიც, ჩაუტარებია ექსპედიცია. 1930-1931 წლებში ის ესტუმრა ლანჩხუთში ცნობილ მომღერალსა და ლოტბარს ილიკო მორჩილაძეს. ილიკოს 16-კაციანი ანსამბლი ჰყავდა, თუმცა ჩაწერის დროს მის სახლში, თავისი ანსამბლის წევრების გარდა,სხვა საუკეთესო გურული მომღერლებიც შეკრებილან. სწორედ ამიტომაც ეს ამბავი ლანჩხუთის კრების სახელით მოინათლა. შალვა მშველიძემ ლანჩხუთელი მომღერ-ლებისაგან 13 სიმღერა ჩაიწერა: დედოფლის სიმღერა, იერიში, ხასანბეგურა, ლატარიის სიმღერა, მე რუსთველი, პატარა საყვარელო, სალაშქრო (ჯერ ვუსურვოთ), საზეიმო, შვიდკაცა, ახალი გურული ურმული, ალიფაშა, ჩვენ მშვიდობა, დათვის წვეულება. ამათგან ორი, - ახალი გურული ურმული და დათვის წვეულება, - თავად ილიკოს შექმნილი სიმღერებია. მართალია, დათვის წვეულების სხვა ვარიანტებიც არსებობს, მაგრამ ჩანაწერში ილიკოსეული ვარიანტია.როცა სამუელ ჩავლეშვილს ილიკოსეული დათვისწვეულება მოუსმენია, შემდეგ იქვე უფრო რთული ვარიენტი უთქვამს.

ილია მორჩილაძის მომღერალთა გუნდი

როგორ მოხდა, რომ **შალვა მშველიძე** ლანჩხუთელ მომღერლებს ეწვია და არა სხვებს? ამაზე ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი რაულ სიხარულიძე, რომლის ბაბუას ძმა - ვარლამ სიხარულიძე -ილიკოს გუნდში მღეროდა. „ცნობილი მომღერალი აქვსენტი მეგრელაძე გახლდათ შუამავალი. მან ურჩია შალვა მშველიძეს: „ლანჩხუთში საუკეთესო მომღერლები არიან და, ჩაწერას თუ აპირებ, ისინი ჩაიწერეო.“ ილიკოს სახლი იყო ის ადგილი, სადაც მომღერლებს უყვარდათ შეკრება. ილიკო საუკეთესო მასპინძელიგახლდათ, ბუნებით მეტად კეთილშობილი და მშვიდი ადამიანი იყო. ერთი სტუმარი რომ მოვიდოდა, მეორეს შეუთვლიდნენ: ესა და ეს ილიკოსთან არის და შენც ჩამოდიო. ილოკოს სტუმართა ჩამონათვალში იმ დროის ყველა ცნობილი მომღერალია: სამუელ ჩავლეშვილი, ლადიმე ბერძენიშვილი, არტემ ერქომაიშვილი, ხუხუნაიშვილები... ასე, მაგალითად: 1924 წელს,ძველი სტილით.გიორგობა დღეს, ილიკოს სრული შემადგენლობით სტუმრებია აკეთელი მომღერლების ანსამბლი „შვიდკაცა“ კოწია ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობითა და,რადგან ილიკოსთან ასევე სტუმრად იმყოფებოდა სამუელ ჩავლეშვილი სუფსის გუნდით,მომღერლებს შორის დიდი სიყვარულით, მეგობრობითა და ღრმა ემოციებით პაექრობა გამართულა.

სიცოცხლის ბოლო წლები

ილიკოს ცხოვრება მეტად ტრაგიკულად წარიმართა. 1936 წელს მას ტროცკისტობა დასწამეს და ციმბირში, ქალაქ კალიმაში, გადაასახლეს. 10 წლის შემდეგ დაბრუნებულს აღარ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება, მით უფრო,გუნდის ხელმძღვანელობა, თანაც მის ყოფილ გუნდს ახალი ხელმძღვანელი ჰყავდა - ვასილ მახარაძე. მისი გუნდის ერთგული წევრები და მეგობრები ილიკოსთან მაინც მიდიოდნენ სამღერლად და მოსანახულებლად.

ილიკო მორჩილაძე გარდაიცვალა 1955წლის 28 ოქტომბერს. დაკრძალულია ლანჩხუთში, აგარაკის სასაფლაოზე. ქუჩას, სადაც ცხოვრობდა შესანიშნავი ლოტბარი, არაერთი სიმღერის ავტორი, რაიონული ანსამბლის პირველი ჩამომყალიბებელი და ხელმძღვანელი, ქველმოქმედი - ილიკო მორჩილაძე -1997 წლის 27 ივნისს მისი სახელი ეწოდა.

მაია გელაშვილი

ლადო მექვაბიშვილის მოგონება

ლადო მექვაბიშვილი გარდაიცვალა... დაიძრა ეს ხმა, ოზურგეთში – ქალაქში, სადაც დაიბადე და გაიზარდე, აზვირთდა მთელ რაიონში და რესპუბლიკაში, დედაქალაქმა ჩაგიკრა გულში...

გარდაცვალების დღიდან ძალიან მაკლიხარ, ძვირფასო ძმაო. გიგონებ, როგორც სიმპათიურს, წარმოსადეგს, კაცთმოყვარეს, კარგ მეგობარს, საზოგადოების უღალატო წევრს, პიროვნებას, რომელმაც მოკრძალებული წვლილი შეიტანე რაიონისა და რესპუბლიკის ხელოვნების ისტორიაში. დამსახურებულად გაგიხსნეს ვარსკვლავი ჯერ კიდევ სიცოცხლეში.

ცათა სასუფეველში იმყოფებიან შენთან ერთად შენი უსიყვარულესები – დები **ზინა** და **ვარა,** ჩემი მეუღლე თამაზ მუჯირი, ერთად განაგრძობთ იმქვეყნიურ ცხოვრებას სიყვარულსა და ერთგულებაში.

დასანანია, რომ წავიდა ჩვენგან კაცი, რომელიც ნამდვილად დააკლდა დიდ ოჯახს, ქვეყანას და, რაც მთავარია, ხელოვნების დარგს. შენ ხომ „გულის სისხლი“ გაიღე ამ ავტორიტეტის მოსახვეჭად და მაინც დაუშრობელი წახვედი...

თქვენი მოსიყვარულე და
ლამარა მექვაბიშვილი.

უფასო სასადილოს ბენეფიციარები ინდმეწარმის შესაძლო ჩანაცვლების გეგმას აპროტესტებენ

ალიონი. გასულ ოთხშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ უპოვართა სასადილოს ბენეფიციარები შეიკრიბნენ და მუნიციპალიტეტის მერს **ავთანდილ თალაკვაძეს** სპეციალური განცხადებით მიმართეს.

ისინი აცხადებდნენ, აქვთ ინფორმაცია, რომ მერია მათთვის სერვისის მიმწოდებელი ინდმეწარმის ტენდერის წესით ჩანაცვლებას გეგმავს, რასაც ბენეფიციარები აპროტესტებენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ამჟამად მათი მომსახურების სერვისით კმაყოფილნი არიან და ამ პირობების შეცვლა არ სურთ.

განცხადებას, 60 ადამიანი აწერს ხელს.

„ძალიან კარგი პირობებია, ნორმალურად გვექცევიან. მანამდე დოლიბის ქუჩაზე ვიყავით, სადაც ვიღაც ქუთაისელებს ჰქონდათ მოგებული ტენდერი და პირდაპირი მნიშვნელობით ბალანდას, სალაფავს გვაჭმევდნენ, უვარგისი ხორცი შემოჰქონდათ და გარემოც შენობაში გაუსაძლისად ბინძური იყო, მერე კოტე შარაშენიძემ და ირაკლი სირაძემ გვიპატრონეს და გადაგვიყვანეს „ნატალიში“, საიდანაც წასვლა არ გვსურს. ოღონდ დამატ-ებით გვინდა, რომ კვების თანხა, 1,80 ლარი გაიზარდოს, რადგან ეს თანხა მიზერულია იმისთვის, რომ ადამიანი ნორმალურად გამოიკვებოს“ – აცხადებენ უფასო სასადილოს ბენეფიციარები.

ოზურგეთის მერი **ავთანდილ თალაკვაძე** შეხვდა ბემეფიციარებს და ვითარებაში გარკვევას და მათი ინტერესების დაცვას დაპირდა.

ბოლო სამი წელია უფასო სასადილო საბანკეტო დარბაზ „ნატალიშია“ განთავსებული. მერიასთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა წელს, 31 დეკემბერს გადის. მერიამ ახალი ტენდერი უნდა გამოაცხადოს, სადაც სავარაუდოდ სხვა მონაწილეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ინდმეწარმე ნათია ღლონტამდე, ოზურგეთის უფასო სასადილოს, რომელიც დოლიბის ქუჩაზე მდებარეობდა, ტენდერში გამარჯვებული შპს „მანიბა“ ამარაგებდა. აღნიშნულ შპს ტენდერები ასევე მოგებული ჰქონდა ქ. თბილისში, ზუგდიდის, ტყიბულის, ცაგერის, ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

სკანვორდი



პასუხები:

ხურაოზე – ფრენის ხელოვნების ფსევდონიმი ვასილ ბარნაველისა; ეფიდ ბარნაველი; ალან – კ; ნეტიოლიბერალი თანამედროვე ფილოსოფოსი – ალენ; ალენ; ალენ;

გულისტკივილი თუ ნოსტალგია



სამოცი წელია მე როგორც მეცნიერ მკვლევარი ვემსახურები სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის დარგს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მინახავს - აღმასვლა ,წარმატებები,დაღმასვლა, კრიზისული პერიოდები და ა.შ. თუმცა ცხოვრება მაინც გრძელდება.უნდა ვიყოთ რეალისტები და თვალი გაუსწოროთ სინამდვილეს , არ უნდა შეურაცვყოთ წარსული, თორემ დღევანდელ თაობას გაუჩნდება უკმარისობის გრძნობა. ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები ვალდებულნი ვართ ვესაუბროთ და ავუხსნათ მათ ჩვენი მემკვიდრეობის პლიუსებსა და მინუსებზე . სამწუხაროდ არიან ადამიანები ,რომლებიც საბჭოურ პერიოდს უარყოფით კონტექსტში მოიხსენებენ ,მაგრამ არ უნდა დავივწყოთ ის დადებითი ძვრებიც , რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველომ გამოიარა. ეგნატე ნინოშვილის იმდროინდელი მშიერი,ღატაკი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი, სოციალურად დაცული და განვითარებული გახდა.

განსაკუთრებით ფასდაუდებელია სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მსოფლიოში აღიარებული ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლი და პასუხისმგებლობა,რომელმაც მისი არსებობის 80 წლის მანძილზე ქვეყანას არნახული წარმატებები მოუტანა. სწორედ ამ ინსტიტუტში და მის ფილიალებში შემუშავებული მეცნიერული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (კრასნოდარის მხარეში) გაშენდა 74 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ციტრუსოვანთა 30 ათასი ჰექტარი ნარგაობა. ამ კულტურების გვერდით საფუძველი ჩაეყარა სხვა ინტროდუცირებული სუბტროპიკული თუ ტროპიკული კულტურების სამრეწველო დანიშნულებით გაშენებას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს სუბტროპიკული რეგიონის მოსახლეობისათვის წარმატების ეპოქად მოიხსენიება, ამ პერიოდში გამრავლდა სოფლის მოსახლეობა , კეთილმოეწყო სასოფლო და სადაბო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა, გაძლიერდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განათლების, მეცნიერების ჯანმრთელობისა და კულტურის სფეროების მოშახურეობას. სუბტროპიკულ მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის ბევრი სასიქადულო პიროვნების მუშაობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა. მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის აკადემიკოს ქსენია ბახტაძეს ქართული სელექციური ჩაის ჯიშების გამოყვანისთვის სოციალისტური შრომის გმირის სამაგალითო წოდება მიენიჭა. ასევე პროფესორ შალვა კერესელიძეს ჩაის საკრეფი მანქანა ,,საქართველოს'' კონსტრუირებისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება და სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სამეგრელოს რეგიონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ორგზის სოციალისტური შრომის გმირებმა: თამარ ყუფუნიამ და ანთიმოზ როგავამ, გურიის რეგიონში ოქროს ვარსკვლავით მკერდი დაიმშვენეს ტატიანა ჩხაიძემ, მიხაკო ორაგველიძემ და სხვებმა; ხოლო ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაე მექანიზატორი ვალერიან მეუნარგია სოციალისტური შრომის გმირი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა. ძნელია დასახელო ყველა იმ ადამიანის სახელი,რომლის პროფესიონალურმა ნიჭმა ,ორგანიზატორულმა საქმიანობამ და ჩაის კულტურისადმი სიყვარულმა საქართველოს მეჩაეობას მსოფლიოს მასშტაბით გაუთქვა სახელი და იგი ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებს შორის მე-5 ,მე-6 ადგილზე გაიყვანა. ჩაის მოვლა -მოყვანისა და გადამუშავების სფეროში ბევრი ქართული ტექნოლოგია დაინერგა ინდოეთის, ვიეტნამის და სხვა ქვეყნების მეჩაეობაში . ჩაის ქართული სელექციური ჯიშები გაშენდა ირანის, თურქეთის, ვიეტნამის, აზერბაიჯანისა და მროკოს მეჩაეობის რეგიონებში.

ბოლო 25-30 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად სუბტროპიკულმა სოფლის მეურნეობამ დეგრადაცია განიცადა. სასაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოშალა სახელმწიფო მზრუნველობა და მონოპოლია მეჩაეობისა და მეციტრუსეობის დარგებისადმი. სამწუხაროდ ბევრმა სახელმწიფო ჩინოვნიკმა ჩაი მონურ კულტურად გამოაცხადა და ამით წერტილი დაუსვა დარგის რეაბილიტაციას.

ერთ დროს საქართველოში არსებული 64 ათასი ჰა ჩაის პლანტაციიდან 2000 წლისათვის მისი ფართობი 4,3 ათას ჰექტარამდე შემცირდა, ციტრუსოვანთა ნარგაობა კი 30 ათასი ჰექტარიდან 7-8 ათას ჰექტარამდე დავიდა. ჩაის პლანტაციების სპონტანურად ამოძირკვის ხარჯზე მიმდინარეობს ალტერნატიული კულტურების (თხილი, კენკროვნები და სხვა) გაშენებ., თუმცა უკანასკნელ წლებში ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება ჩაის არსებული პლანტაციების რეაბილიტაციის თაობაზე, რომელიც იაფი საივარო ხელშეწყობითა და თანადაფინანსებით აქტიურად ხორციელდება. უკვე რეაბილიტირებულია 2000 ჰექტრამდე ნარგაობა. პერსპექტივაში გათვალისწინებული უნდა იქნას ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება და სამრეწველო პროდუქციის ზრდა. ეკოლოგიურად სუფთა, დაბალკოფეინიანი ქართული ჩაის პროდუქცია დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ ,ისე საექსპორტო ბაზრებზე. თუ კი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება კიდევ უფრო გაიზრდება მოთხოვნილება ქართული ჩაის პროდუქციაზე . ყოველივე ამას ემატება ისიც , რომ საქართველოს შავიზღვისპირეთი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მასობრივი დათვალიერების ძირითად ობიექტად უნდა იქცეს. ძნელი წარმოსადგენია ამ ზონაში ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების არსებობა ეგზოტიკური სანახაობის ამ კონტექსტში არ მოიაზრებოდეს . ამის საილუსტრაციოდ მინდა მკითხველს ერთი მაგალითი შევთავაზო: გასული საუკუნის 80-იან წლებში ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს სირიის რესპუბლიკის სამეცნიერო და სამთავრობო დელეგაციაა სტუმრობდა. მე როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამგზავნა ბათუმის აეროპორტში მათ დასახვედრად. დელეგაცია ბათუმში ჩამობრძანდა და მიკროავტობუსით ოზურგეთისაკენ გამოვემგზავრეთ, შემოდგომის მზიანი ნოემბრის თვე იდგა. როდესაც მახინჯაურის აღმართს შეუდგით, სტუმრების გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა , ფანჯრებიდან ოქროსფერ ციტრუსოვანთა ბაღებში,თეთრად ჩადგმულ ორ-სამსართულიანი სახლებს ათვალიერებდნენ .მახინჯაურის კონცხზე რესტორანთან მანქანა შეჩერეთ სტუმრებს გასეირნება და მინერალური წყლის დალევა შევთავაზეთ. ერთ-ერთმა ბრძანა „ მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ ,მაგრამ ასეთი სილამაზე და სიმდიდრე არ მინახავსო , ვერ წარმოვიდგენდი რომ ჩრდილო ნახევარსფეროში მე ვნახავდი ციტრუსოვანთა უნიკალურ ბაღებს, მდიდრულ სახლებს და აქვე შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულ უამრავ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებსაც.'' მაშინ მივხვდი პირველად, რომ ჩვენ ქართველები არ ვფასებდით იმ ეგზოტიკურ სილამაზეს და სანახაობას , რაც გაგვაჩნდა და სხვისი თვალით დანახული გვიკვირდა. დიახ ძვირფასო მკითხველო , მართლაც საოცრად ლამაზად გამოიყურებოდა შავი ზღვისპირეთი შემოდგომით, როდესაც ციტრუსოვანთა ოქროს რთველი იწყებოდა. ყოფილ საბჭოთა კავშირს ციტრუსების ნაყოფებზე მონოპოლია ჰქონდა გამცხადებული,ანუ თითოეული კილოგრამი სახელმწიფოს უნდა ჩაბარებოდა და იმდროინდელ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში წინასწარ შეთანხმებული გეგმა-გრაფიკით მიეწოდებოდა.

ადამიანთა უდიდესი კოჰორტა, რომლებმაც მთელი თვისი შეგნებული ცხოვრება ქვეყანაში სუბტროპიკული მემცენარეობის მეცნიერულ შესწავლასა და განვითარებას მუძღვნეს დღეს ცოცხლები აღარ არიან, არადა მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს დავიწყება არ უნდა მიეცეს.

ანასეული-რომელიც დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ დასახლებულ ობიექტად მოიხსენიება, დღევანდელმა თაობამ არც კი იცის რას წარმოადგენდა იგი უახლოეს წარსულში. იოსებ სტალინის განკარგულებით, 1930 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინდუსტრიული განვითარების მიზნით ოზურგეთიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით ანასეულში შეიქმნა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სათაო ინსტიტუტს ფილიალები ჰქონდა ჩაქვში, სოხუმში, ზუგდიდში, ფოთში, ასევე საყრდენი პუნქტები გაჩნდა წყალტუბოში, ქედაში, მაიკოპში, დაღესტანში ინსტიტუტსა და მის ფილიალებში მუშაობდა 700-ზე მეტი მეცნიერ-სპეციალისტი და 4 ათასზე მეტი ტექნიკური პერსონალი.იმ პერიოდში ანასეული ოზურგეთის ერთ-ერთ მიმზიდველ და ახალდაქორწინებულთა წყვილებისათვის სარიტუალო და კოლორიტულ ადგილს წარმოადგენდა. ანასეულის დეკორატიულ პარკს ამშვენებდა 140 სახეობის სხვადასხვა წიწვოვანი და მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეები. ანასეულის კვლევითი ცენტრი იყო მსოფლიო დონის საერთაშორისო მნიშვნელობის დაწესებულება. ჩამოდიო-დნენ უცხოელი სპეციალისტები ინდოეთიდან , შრი-ლანკიდან , ვიეტნამიდან , ჩინეთიდან , ირანიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან. ასევე ინსტიტუტის სპეციალისტები სამეცნიერო მივლინებით ხშირად სტუმრობდნენ ამ ქვეყნებს. იყო აზრთა ურთიერთგაზიარება, პრაქტიკული დახმარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი ანასეულზე რთულად აისახა. ცენტრი ჩამოშორდა მოსკოვს, შეწყდა საკავშირო დაფინანსება ,დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნგრევა. 2011 წლიდან ანასეულის ინსტიტუტი აგროუნივერსიტეტის კერძო მფლობელობაში გადავიდა. შემცირდა სამეცნიერო პოტენციალი, გასხვისდა ექსპერიმენტული ბაზები. ანასეულის დასახლებაში ერთ დროს დასაქმებული 3000 ადამიანიდან დღეს 150-200 ადამიანსაც ვერ დაინახავთ და ისინიც უიმედობის სინდრომითაა შეპყრობილი და ლუკმა პურის საშოვნელად სეზონურ სამუშაოზე ხან თურქეთში გარბიან და ხან კერძო კომპანიების ჩაის , თხილის, ლურჯი მოცვის მოსავლის აღებით არიან დაკავებული. ცხოვრება გაძვირდა , სახელმწიფოს არა ქვს იმდენი შემოსავლები, რომ გაზარდოს პენსიები, სოციალური დახმარებები. კიდევ კარგი, რომ მოქმედებს ჯანმრთელობის შეღავათიანი პროგრამები. კოვიდი ვირუსის პანდემიამ აგერ მე-3 წელია რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაეცა ქვეყნის ეკონომიკა , გლობალურმა ცივილიზაციამ ბევრ სიკეთეებთან ერთად კაცობრიობას ბევრი ნეგატიური პროცესები მოუტანა. ამას ემატება გლობალური კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული წყალდიდობები, ხანგრძლივი გვალვები , ხანძრები, სეტყვა , საგაზაფხულო წაყინვები, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე.

საქართველოს , რომელსაც ხორბლის 84 % საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოაქვს , ასევე ზეთი, ხორცი , ხილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტების 80 % იმპორტირებულია-შესაძლებელია შიმშილობის პანდემია დაემუქროს. ადამიანები იყავით ფხიზლად ! მაქსიმალურად გამოვიყენოთ მიწის, წყლის, ტყის , ჰაერის და სხვა ბუნებრივი რესურსები. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში შესაძლებელია ქართულ მიწაზე ბევრჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ზოგიერთი მათგანი კი საექსპორტო დანიშნულებითაც გამოვიყენოთ. ამისათვის კი საჭიროა შრომა, შრომა და შრომა, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი ქართველი გადაჩვია, სოფელი მიატოვა და ქალაქს მიაშურა , თუმცა დადგება უკუმიგრაციის დრო და სოფლად სიცოცხლე დაისადგურებს. ქართველებს ერთმანეთში რა გვაქვს გასაყოფი , მიუხედავად ჩვენი პარტიული თუ რელიგიური კუთვნილებისა ერთმანეთს გვერდში უნდა დაუდგეთ და ვიშრომოთ. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სოფლებს დაუბრუნოს თვითმყობადობა . მისასალმებელია ის ფაქტი , რომ დღეს მრავალი სახელმწიფო პროგრამა მუშაობს :,, დანერგე მომავალი'' , ,,აწარმოე საქართველოში'', ,, ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა'', ,,შეღავათიანი აგროკრედიტი'' – ,,აგროდაზღვევა'' ,,, საექსტენციო მომსახურეობა'' ასევე მოქმედებს მრავალი უცხოური საგრანტო პროექტები. ამ მხრივ ქვეყანაში ბოლო 10 წლის განმავლობაში სერიოზული სამუშაოებია შესრულებული . იმედისმომცემია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობაც, რომელიც 2014 წლიდან ფუნქციონირებს. აღნიშნული სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს გურიის რეგიონში ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი ,,ანასეული'',ასევე აქვე ფუნქციონირებადი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური. დიაგნოსტიკური ცენტრი ,,ანასეულის'' კომპეტენციაში შედის საქართველოს მასშტაბით ბენეფიციართა განაცხადის საფუძველზე შეისწავლოს ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური ანალიზი და მიღებული მონაცემების საფუძველზე გასცეს რეკომენდაციები, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების თაობაზე , რაც შეეხება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის საქმიანობას -აქ კვალიფიციური მეცნიერ-სპეციალისტთა უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს სუბტროპიკულ ზონაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე რეკომენდაციების შემუშავება და ბენეფიციარებზე მიწოდება. პარალელურად კვლევის სამსახურს გაჩნია საცდელ-საწარმოო ბაზები , სადაც გამოცდას გადიან წინასწარ მოძიებული და შერჩეული პერსპექტიული კულტურები. ასევე ადგილზე მოწყობილია სანერგე მეურნეობა საიდანაც იწარმოება ჩაის , ციტრუსების, აქტინიდიის , დაფნის და სხვა კულტურების წინასწარ შერჩეული პერსპექტიული ფორმები. საკოლექციო ნაკვეთზე გაშენებული მანდარინის საადრეო ფორმები (ოკიცუ-ვასე, მიაგავა-ვასე, ,,ნიჩინანი'' , ,, დაგუჩი'' ,, იოკანი'') ოქტომბრის მეორე ნახევრიდან შედიან ტექნიკურ სიმწიფეში და თვის ბოლოსათვის ღებულობენ სბაზრო ღირებულებას. ასევე ნიშანდობლივია აქვე ვეგეტატიურად გამრავლებული ჩაის ჯიში ,, კოლხიდას'' სტანდარტული ნერგების წარმოება , რომლებიც გათვალისწინებულია სადეე-სათესლე და სადეე-საკალმე ნაკვეთების გასაშენებლად. უკვე ბენეფიციართა მხრიდან არსებობს დაკვეთები ჩაის, ციტრუსების, აქტინიდიის , დაფნის და სხვა კულტურების ნერგების შესყიდვაზე და საწარმოო ნაკვეთების გაშენებაზე.

მისასალმებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება უახლოეს 5- 6 წელიწადში უზრუნველყოს ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად გადამერებული ციტრუსოვანთა ნარგავების სრული რეაბილიტაცია, მათი ჩანაცვლება უნდა მოხდეს მაღალ მოსავლიანი, საადრეო და მეტად ყინვაგამძლე ჯიშებით. აქვე დავძენდით იმასაც, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ,მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს ჩაის ჯიში ,, კოლხიდას'' სადეე პლანტაციის გაშენებას ჩაქვის სადემონსტრაციო ნაკვეთის ტერიტორიაზე. მითუმეტეს , მაშინ როდესაც ჩაქვი წარმოადგენდა ქართული სელექციური ჩაის ჯიშების აკვანს და თვით ჩაის ჯიში ,,კოლხიდა'' აქ იქნა აღმოჩენილი.

ციტრუსოვანთა ნარგაობის პერმანენტული განახლება ასევე უნდა განხორციელდეს გურიისა და სამეგრელოს მეციტრუსეობის ზონებშიც, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას სპეციალური სანერგე მეურნეობა ციტრუსოვანათა პერსპექტიული ჯიშ-ფორმების სერტიფიცირებული ნერგების გამოსაყვანად.

იმედია უახლოეს 10 წელიწადში ძირეულად გაუმჯობესდება ქვეყანაში სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები , მათ შორის საპატიო ადგილს დაიკავებს სუბტროპიკული კულტურების საექსპორტო მოცულობები. სოფლები განახლდება ,ადამიანები თავიანთ კარ-მიდამოს დაუბრუნდებიან. ანასეული , ეს უნიკალური ისტორიული სამეცნიერო ცენტრი სადაც დღეს კიდევ ფუნქციონირებს ორი სამეცნიერო დაწესებულება ,უკეთეს ყურადღებას იმსახურებს. იმედია, მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული მერი , საკრებულო , მათ კომპეტენციაში არსებულ ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ ამ ისტორიული მნიშვნელობის კუთხის კეთილმოწყობისათვის , ხოლო იმ ადამიანთა უკვდავსაყოფად,რომლებიც ამ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მუშაობდნენ სიმბოლურ მემორიალურ დაფას გააკეთებენ.

ჩემი ეს გულისტკივილი მინდა დავამთავრო ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის მარგარეტ ტეტჩერის სიტყვებით: ,,ახალგაზრდებს იდეალი სჭირდებათ , ამიტომაც არ უნდა დავივიწყოთ გამორჩეული ადამიანები ,რომლებმაც საკუთარი ადგილი შრომითა და გონიერებით დაიკვიდრეს საზოგადოებაში . ჩვენ თუ მათი საქმეებით ვიამაყებთ , სწორება მათზე გაკეთდება''.

დიახ, საქართველო ღვთის კურთხეული ქვეყანაა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ნიადაგურ-კლიმატური პირობები და ისტორიული წარსული გვაძლევს იმედს, რომ ქვეყანა დაძლევს ყოველგვარ სიძნელეებს და თავის ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო მოწინავე ქვეყნებს თანამეგობრობაში.

ზაურ გაბრიჩიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მარჯანიშვილელთა გაელვება ოზურგეთის თეატრში

თემურ მარშანიშვილი

გურიაში კვირის პირველ დღეს, თუ ის წარმატებული და სასიამ-ვნოა, „კაი ორშაბათს“ ეძახიან. სწო-რედ ასეთი დღე გახლდათ გასული კვირის 15 ნოემბერი, როცა მაყურე-ბელმა მშობლიური თეატრის სცენაზე კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „კრეიცერის სონატა“ იხილა. უნდა ვაღიარო, რომ ამ ნაწარმოებს დღემდე არ ვიცნობდი. ბარემ, ბოდიშის მოხდით, აქვე იმასაც ვიტყვი, თანამედროვე დრა-მატურგებს ძალიან ბევრი დასჭირდებათ, რომ გენიალურ ლევ ტოლსტოის მიუახლოვდნენ.

ახლა, რაც შეეხება **ლევან წულაძისა** და **თემო კუპრავას** დადგმას, სარეცენზიო სპექ-ტაკლს: დაწყებული, ერთი შეხედვით, წყნარი, მაგრამ რაღაც ტრაგიკულის მოლოდინით დამუხტული ექსპოზიციიდან საოცარ ფინა-ლამდე, უზუსტესი მიზანსცენებით, მოვლენები ისე ვითარდება, რომ უკვე ნანახის დატოვება გენანება და მაინც უნებურად სანახავისკენ, როგორც უფრო უკეთესისკენ, ილტვი და არც სცდები. არ ვიცი, ამას რას ეძახიან, მაგრამ მე ამაში მარჯანიშვილელი დიდი რეჟისორე-ბისთვის დამახასიათებელ ხელწერას ვხედავ.

რასაკვირველია, ცალკე თემაა სპექტაკლში დაკავებული მსახიობები – **მანანა კაზაკოვა, ჯაბა კილაძე, ბესო ბარათაშვილი, ქეთი ცხაკა-ია, მარიამ ცქიფურიშვილი,** რომლებიც სცენაზე თავიანთ გმირებს სახელდახელოდ ძერწავენ და ისეთ პერსონაჟებად აქცევენ, მაყურებელს რომ უჭირს მათთან განშორება. აი, ეს არის პროფე-სიონალიზმი!

განსაკუთრებულად უნდა გამოვყო **ლელა ბებურიშვილი** და **ნიკა კუჭავა,** სხვას ვერაფერს ვიტყვი, ჩემი აზრით, მათი სახით საუკეთესო დუეტი დგას ქართულ სცენაზე.

სცენა ვახსენეთ, ამ სპექტაკლში იგი თავისი დინამიკური, მრავალსახოვანი, სივრცო-ბრივი დეკორაციებით რომ თეატრის ჩარჩოებს გასცდა, ამაში ვერავინ შემედავება; მუსიკა კი, ტრაგიკომედიაზე რომ იშვიათი სიზუსტით მორგებულია, ეს ჩემზე უფრო გემოვნებიანმა მაყურებელმა აღიარა და გამაგონა.

ორიოდე სიტყვა მაყურებელზეც: ექიმებმა რაც არ უნდა მიმტკიცონ, რომ ადამიანი სუნთქვაშეკრული წუთსაც ძლივს ძლებს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გატრუნულ, წარმოდგენით მოხიბლულ მაყურებელს თითქმის მთელი ორი საათის განმავლობაში არ ამოუსუნთქავს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ამოისუნთქა კი არა, ისეთი აპლოდის-მენტი გააჩაღა და ისეთი „ბრავო“ ამოთქვა, განახლებული თეატრის ჭერი საფუძვლიანად გაკეთებული რომ არ ყოფილიყო, ალბათ ჩამოიქცეოდა.

ბრავო! მართლაც, ბრავო!!!

ოზურგეთში მარჯანიშვილელთა ეს დაუვი-წყარი გასტროლი შედგა საქართველოს კულ-ტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინ-ისტროს დაფინანსებით, ასევე ქართული ჩაის ბრენდ „გურიელის“ მხარდაჭერით.

ოზურგეთის თეატრი გასტროლებზე პორტუგალიასა და ესპანეთში ორი სპექტაკლით გაემგზავრება

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – **ვასილ ჩიგოვიძე,** ე ვრაზიის თეატრებისა და ფესტივალების საერთაშორისო ასოციაციის (ETA) ეგიდით პორტუგალიაში იმყოფებოდა, სადაც ქალაქ ბრაგის თეატრის კომპანიასა და ოზუ-რგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს შორის მნიშვნელოვანი მემორან-დუმი გაფორმდა. 2022 წლის ივნისში, პორტუგა-ლიასა და ესპანეთში, ოზურგეთის სახელმწიფო დრა-მატული თეატრი ორი სპექტაკლით მიემგზავრება.

ქალაქ ბრაგის თეატრის კომპანიის ხელ-მძღვანელი – რუი მადეირა და ოზურგეთის სახ-ელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ვასილ ჩიგოვიძე (ETA)- ს კიდევ ერთი წევრი ქვეყნის -ესპანეთის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელს – ფრან ნუნეზსაც შეხვდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2022 წლის ივნისის თვეში ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი პორ-ტუგალიის რამდენიმე ქალაქში და ესპანეთის ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელაში (გალიციის მხარე) ორ სპექტაკლს ითამაშებს.

თეატრალური სეზონის საუკეთესო მსახიობი ქალი თამარ მდინარაძეა, საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალი კი - ციცი ბუცხრიკიძე

ცნობილია ა(ა)იპ – შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზო-გადოების ყოველწლიური კონკურსის – „თეატრალური სეზონის საუკეთესო ნამუშევრის“ გამარჯვებუ-ლების ვინაობა. ინფორმაცია ამის შესახებ აღნიშნული ორგანი-ზაციის ფეისბუკ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ნომინაციაში თეატრალური სეზონის საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა ოზურგეთის თეატრის მსახიობი **თამარ მდინარაძე,** იოანე ხუციშვილის სპექ-ტაკლში „3+3“ (პიესის ავტორი მანანა დოი-აშვილი) ბაუკის როლის შესრულებისთვის,

თეატრალური სეზონის საუკეთესო ახალ-გაზრდა (არაუმეტერს 30 წლისა) მსახიობ ქალად კი, ასევე ჩვენი თეატრის მსახიობი

ციცი ბუცხრიკიძე მიიჩნიეს, ამავე სპექტაკლში ჩეტის როლის განხორციელებისთვის.

მიხეილ გოგოტიშვილის გახსენება

მიხეილ (მიშა) გოგოტიშვილი გახლდათ ძველი თაობის მომღერალთა მეორე ნაკადის წარ-მომადგენელი, რომელიც აღიზარდა ცნობილი მომღერლის - **ვარლამ სიმონიშვილის** სკოლა გავლილ უძველეს მომღერალთა შორის.

მიხეილ გოგოტიშვილი დაიბადა 1920 წლის 16 სექტემბერს, სოფელ დვაბზუში. სოფლის 4-კლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი – პროფტექნუკურ სასწავლებელში – „ვაჭრობა-ეკონომიკის“სპეციალობით.

1940 წელს გაიწვიეს ჯარში, სამხედრო საჰაერო-სადესანტო ბატალიონში.

მიხეილი 1941 წლის 7 ნოემბერს მონაწ-ილეობდა მოსკოვის წითელ მოედანზე გამართულ პარადში. იბრძოდა სტალინგრანდის ბრძოლებში, სადაც დაიჭრა კიდეც. მიღებული ჰქონდა მრავალი საბრძოლო ჯილდო.

იგი მესამე ჯგუფის ინვალიდი დაუბრუნდა ოჯახს და მუშაობა დაიწყო ვაჭრობის სისტემაში. ამავე პერიოდში დაქორწინდა კაკალა ჩავლეიშვილზე და შესანიშნავი ოჯახი შექმნა.

მიხეილი ძალიან ახალგაზრდა გახდა ვარლამ სიმონიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი და ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად, ნაყ-ოფიერად შრომობდა გურული სიმღერების შესწავლისა და განვითარებისათვის. იგი გუნდში იყო მის ლიკვიდაციამდე. შემდეგ მიხეილ გოგოტიშვილი მიიწვიეს ოზურგეთის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ცნობილი ლოტ-ბარი ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სარაიონო კულტურის სახლთან ფოლკლორული ჯგუფი შეიქმნა, რომელშიც გაერთიანდნენ: **ვახტანგ მენაბდე, მიხეილ ჩხარტიშვილი, გედევან მჟავანაძე, მიხეილ გოგოტიშვილი, კოტე პაპავა, გური სიხარულიძე.** აღნიშნული ჯგუფი

(მარცხნიდან) მიხეილ ჩხარტიშვილი, გედევან მჟავანაძე, მიხეილ გოგოტიშვილი.

პოპულარობით სარგებლობდა.

2005 წელს მიხეილ გოგოტიშვილი იაპონიაში მიიწვიეს – საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ვეტერან მომღერლებთან ერთად კონ-ცერტების ჩასატარებლად. მიხეილთან ერთად იაპონიაში იყვნენ: **ჟენია შავიშვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი;** სამეგრელოდან – **პოლიკარპე ხუბულავა.** პროექტის მონაწილეები 80 წელს გადაცილებულები უნდა ყოფილიყვნენ. ამ პროე-ქტს **ანზორ ერქომაიშვილი** ხელმძღვანელობდა.

ტოკიოდან სანახაობით აღტაცებული, კმაყოფილებით დაბრუნებული მიშა მის უმცროს მეგობრებს გვიყვებოდა იაპონელების საინტერესო პროექტზე, სტუმრების დახვედრის ტრადიციებზე და ცხოვრების წესზე.

მიშა კარგი მოსაუბრე იყო და მნახველზე და მსმენელზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი ყოველთვის „აკურატნი“ ჩაცმული იყო. არ მახ-სოს, მიშა უბრალოდ ჩაცმული გამოსულიყო ქუჩაში. იგი გაწონასწორებული, ძალიან მორიდე-ბული ადამიანი იყო. არ უყვარდა ზედმეტობა და არც თავის გამოჩენა – რაც მის კაიკაცობაზე ლაპარაკობს.

მიხეილმა სიმღერისადმი სიყვარული შთაუნერგა და შეუყვარა კიდეც მის შვილიშვილს – **ლაშას,** რომელიც ბავშვობაში ჩემი მოსწავლე იყო და შემდგომ უკვე დავაჟკაცებული და ჩამოყალიბებული მოკრიმანჭულე მიიწვიეს საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონში,“რომელსაც ლოტბარი **ჯემალ ჭკუასელი** ხელმძღვანელობდა.

ამჟამად **ლაშა გოგოტიშვილი** ოზურგეთში მოღვაწეობს და მადლიერებას გამოთქვამს მის ბაბუა – მიხეილზე, რომელმაც გზა გაუკაფა დიდ ხელოვნებაში.

მიხეილ გოგოტიშვილი 2008 წელს გარ-დაიცვალა. ასეთი ადამიანები არ კვდებიან.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +13+19	წვიმა +7+17	წვიმა +3+10	მზე, ღრუბელი +2+8	მზე, +4+9	მზე, ღრუბელი +4+11	მზე, ღრუბელი +5+11
29 ნოემბერი	30 ნოემბერი	1 დეკემბერი	2 დეკემბერი	3 დეკემბერი	4 დეკემბერი	5 დეკემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა